საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-34

15/01/2020

ქ. თბილისი

სს „რუსთავის აზოტის“ ორჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზი „ატზ-7“-„ატზ-8“-ის („ქ/ს რუსთავი-220“-დან სს „რუსთავი აზოტი“-ს კუთვნილ „ქ/ს-02“-მდე) და ერთჯაჭვა 110 კვ ელ.გადამცემი ხაზის „ატზ-8“-ს (ს.ს. „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-01“-დან შპს „რუსელოისის“ კუთვნილ ქვესადგურამდე) გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს „რუსთავის აზოტის“ ორჯაჭვა 110 კვ ელ. გადამცემი ხაზი „ატზ-7“-„ატზ-8“-ის („ქ/ს რუსთავი-220“-დან სს „რუსთავი აზოტი“-ს კუთვნილ „ქ/ს-02“-მდე) და ერთჯაჭვა 110 კვ ელ. გადამცემი ხაზის „ატზ-8“-ს (ს.ს. „რუსთავის აზოტი“-ს კუთვნილი „ქ/ს-01“-დან შპს „რუსელოისის“ კუთვნილ ქვესადგურამდე) გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N138 (30.12.2019წ.);
2. სს „რუსთავის აზოტმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N138 (30.12.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი